



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 103/13¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ზურა ფარქოსაძე (სტუდენტი)

ფაქტები

ადვოკატსა და საჩივრის ავტორს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო ზეპირი ხელშეკრულებისა და მინდობილობის საფუძველზე. ადვოკატსა და კლიენტს შორის არ არსებობდა წერილობითი ხელშეკრულება და მისით განსაზღვრული საადვოკატო საქმიანობის საგანი, უფლებები და მოვალეობები. შეთანხმება ითვალისწინებდა მომსახურების გაწევას სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებზე და ადვოკატს უნდა წარმოედგინა კლიენტის ინტერესები სასამართლოში. ადვოკატსა და კლიენტს შორის საერთო დეპოზიტზე განთავსებული იყო თანხა 49 785 ლარის ოდენობით, რომლის გამოყენებაც მხოლოდ ორმხრივი ხელმოწერის დადასტურებით არის შესაძლებელი. განხილვის კოლეგიის მიერ უდავოდ დადგინდა, რომ ადვოკატის მიერ არ ყოფილა ნაწარმოები კლიენტისა და საერთო სადეპოზიტო თანხების ფინანსური ანგარიშგება. ადვოკატის მიერ საზღაურის მიღება და მისი დოკუმენტალური აღრიცხვა ნაწილობრივ არ ხდებოდა დადგენილი წესით. ასეთი დოკუმენტები საბანკო ამონაწერის ან სხვა სახით ადვოკატს არ წარმოუდგენია. ამასთანავე, ადვოკატმა საჩივრის ავტორს მისი მოთხოვნის მიუხედავად არ დაუბრუნა საბუთები.

პროცესუალური ისტორია

2013 წლის 14 აგვისტოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა თ. ჩ.-მ და მოითხოვა ადვოკატ გ. ქ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი არ აწარმოებდა სრულ და ზუსტ ჩანაწერებს, ასევე არ აწვდიდა კლიენტს ანგარიშგებას, ხოლო საადვოკატო მომსახურების ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ კლიენტს არ დაუბრუნა ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა გადასცა ადვოკატს ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-12 ნაწილი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-13 ნაწილი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი.

სამართლებრივი შეფასება

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა. ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ კლიენტისათვის საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით. ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი ჩანაწერის“ წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის წარმოებას. აღნიშნული ვალდებულება უკავშირდება კლიენტის მოთხოვნისთანავე ანგარიშგების მოწესრიგებული სახით მიწოდების ვალდებულებას. ადვოკატმა კლიენტის მიერ მინდობილი ქონება ან ფულადი სახსრები უნდა მართოს კეთილსინდისიერად და კლიენტს მიაწოდოს

¹ <https://gba.ge/pdf/5c484add02177.pdf/5c484add02177.pdf>

დეტალური ინფორმაცია მის განკარგვასთან დაკავშირებით. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის ფულადი სახსრების მართვის მინდობისას, კლიენტის ნდობა ეფუძნება არა მხოლოდ ადვოკატის პირად თვისებებს, არამედ მისი ადვოკატის პროფესიისადმი კუთვნილებას, რაც ადვოკატის მიერ უნდა იქნეს გამართლებული. კომისია მსჯელობისას დაეყრდნო დისციპლინულ საქმეზე 2012 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებას². ადვოკატმა არ უნდა დაუშვას კლიენტის მიერ მინდობილი ქონების პირად სალაროში შენახვა. კლიენტის მიერ ფულადი თანხის გადაცემა ადვოკატს ავალდებულებს მინდობილი თანხა კეთილსინდისიერად და კონკრეტული მიზნისთვის გამოიყენოს. ხოლო, თუ თანხის გამოყენების საჭიროება აღარ არსებობს, ადვოკატს პროფესიული ეთიკური ვალდებულებიდან გამომდინარე, ეკისრება პასუხისმგებლობა შეძლებისდაგვარად უმოკლეს დროში აცნობოს კლიენტს თანხის დაბრუნების შესახებ და პირველი შესაძლებლობისთანავე, უკლებლივ დაუბრუნოს თავისი კუთვნილი თანხა, თუ სხვა ქონება. საქმის მასალებით დადგინდა, რომ ადვოკატს არც ურთიერთობის დასრულების შემდეგ დაუბრუნებია კლიენტისათვის მისგან მინდობილი ფულადი სახსრები, იმის გათვალისწინებით, რომ მას უფლება აქვს კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისთვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი. ადვოკატმა ზუსტად არ განსაზღვრა კლიენტთან ბიუჯეტის განკარგვის დეტალები. ამასთანავე, ადვოკატის უარი დოკუმენტების გადაცემაზე უსაფუძვლოა, რადგან მასში მოცემული ინფორმაცია ეხება კლიენტის სამართლებრივ საკითხებს და მას ეკუთვნის. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტები წარმოადგენს კლიენტის მიერ მიწოდებული, ადვოკატის მოპოვებული და დამუშავებული საკითხების იურიდიულ ფორმას, რომელიც კლიენტის ინტერესების დაცვისკენაა მიმართული. შესაბამისად, მიღწეულ უნდა იქნეს ის მიზანი, რაც კლიენტის კანონიერ ინტერესებს ემსახურება და ადვოკატს არ არ დაუბრუნოს კლიენტს დოკუმენტები.

დასკვნა

განხილვის კოლეგიამ აღნიშნა, რომ პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილები არეგულირებს ადვოკატისთვის პროფესიულ ქცევას კლიენტის თანხების ანგარიშგებისა და კეთილსინდისიერად მართვის კუთხით. ეს რეგულაციები იცავს კლიენტს, მის მიერ გადახდილი ან მინდობილი ფულადი სახსრები არ იყოს არაპროპორციულად გახარჯული. ადვოკატმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტები, რაც დაადასტურებდა მისი მხრიდან ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული პროფესიული ქცევის სტანდარტების დაცვას. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილებით, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა გაფრთხილება.

² <https://gba.ge/pdf/5c472298b5467.pdf/5c472298b5467.pdf>